გულად ქანთარია*

კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად

აბსტრაქტი

საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმა თუ მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების მუდმივი საფუძველი იყო. თუმცა, კანონმდებლობის რეგულირების სფეროსა თუ მისი შინაარსის მიმართ წინააღმდეგობა, 2022 წელს, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ინიცირების შემდგომ, გასცდა პარტიებს შორის პოლარიზაციის ჩვეულ ნიშნულს და წინააღმდეგობის პროცესში აქტიურად ჩაერთნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები.

წინამდებარე სტატია განიხილავს საქართველოში კანონმდებლობის გამოყენებით ავტორიტარიზმის დამკვიდრების მცდელობასა და მის პერსპექტივას. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია, ფორმალურად დემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებებით ავტორიტარიზმის დამკვიდრება და რა გავლენას ახდენს იგი ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვნად ჩაითვალა საქართველოს პარლამენტის მიერ, უკანასკნელ წლებში მიღებულ ახალ კანონთა და არსებულ კანონმდებლობაში გატარებულ ცვლილებებათა მიღების საფუძვლების შესწავლა. ასევე, სტატია მიმოიხილავს სასამართლო ხელისუფლების როლს საკუთარი თავის ინსტრუმენტალიზაციის პროცესში, რაც მოცემული საკანონმდებლო აქტების მეშვეობით ავტორიტარიზმის დამკვიდრების გზაზე ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

* საჯარო სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

დემოკრატია ფუნქციონირებს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული წესრიგით, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო ქმნის. დემოკრატიული წესრიგის დაცვა ადამიანის უფლებების აღიარებასა და პატივისცემაზე, მის განუხრელ დაცვაზე გადის. დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეულ ხელისუფლებას აქვს სახალხო ლეგიტიმაცია, რაც მას კანონმდებლობის მიღებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას ანიჭებს. თუმცა, დემოკრატიული წესრიგის დაცვისთვის, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული აქტები ადამიანის უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული და არ მოხდეს მათი გამოყენება პოლიტიკური შურისძიებისთვის.

კანონმდებლობის გამოყენება პოლიტიკური რეპრესიებისთვის ავტორიტარიზმის ერთგვარი სახეცვლილებაა, რომელიც არა ტრადიციულად აგრესიული ფორმით, არამედ დემოკრატიის სახელით მკვიდრდება და ფორმალურად, დემოკრატიულ წესრიგსვე ეფუძნება. თუმცა, მას აქვს ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი კონკრეტული მიზანი, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებების პერმენენტულ შეზღუდვაში გამოიხატება.

დემოკრატია თავისთავად ვერ იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის თვითკმარი შესაძლებლობა, რადგან მზარდი ავტორიტარიზმისას, სწორედ მას სჭირდება დაცვა და გარანტიები. დემოკრატია შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური რეჟიმების ბაზრის ერთ-ერთ მონაწილედ, რომელმაც, სხვებთან შედარებით, თავისი უპირატესობა უნდა დაამტკიცოს.[1] მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, დემოკრატიულ ინსტიტუტებს მუდმივად უწევთ ბრძოლა ადამიანის უფლებების დასაცავად.

როდესაც პოლიტიკური სისტემა ერთპარტიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა, ცხადია, დემოკრატიულ ინსტიტუტებს ბუნებრივად ნაკლები ინსტრუმენტი რჩებათ ავტორიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას ემატება ისიც, რომ როდესაც სახელისუფლებო ვერტიკალი სრულად ერთ პოლიტიკურ პარტიას ემორჩილება, ხელისუფლების შტოები არა შეკავება-გაწონასწორების პრინციპის, არამედ პარტიული ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ.

სწორედ პარტიული პოლიტიკა ახდენს გავლენას ბოლო ორ წელიწადში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეპრესიული კანონების რაოდენობასა თუ შინაარსზე. საქართველოში დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები მუდმივ უკუსვლას განიცდის, რაზეც განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მეტყველებს. თავად სამართალშემოქმედების პროცესიც კი, პოლიტიკური კონტროლისა და რეპრესიების განხორციელების მექანიზმად გამოიყენება.

ზოგადად, თანამედროველიბერალური დემოკრატია საფრთხეშია მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში. მსგავსი ტენდენცია უფრო მეტად ახასიათებს ჰიბრიდულ პოლიტიკურ რეჟიმებს,

1 გია ნოდია, „დემოკრატია, ილიუანის გზამკვლევი", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 7

სადაც დემოკრატიულ ინსტიტუტებს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი აქვთ, რადგან ისინი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან. თანამედროვე მსოფლიოში, ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი მუდმივ დარტყმას იღებს ქარიზმატული ლიდერებისგან, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ თამაშის წესებზე უარს ამბობენ.[2]

თუმცა, საინტერესოა გაირკვეს, რატომ იხრებიან ჰიბრიდული რეჟიმები ძირითადად ავტორიტარული მოდელისკენ და არა დემოკრატიული წესრიგის დასამკვიდრებლად? შესაძლებელია, ეს უკავშირდებოდეს იმას, რომ სახელმწიფოების ნაწილში მუდმივად არსებობს ავტორიტარული მმართველობის მიმართ რომანტიზმი. ასევე, შესაძლებელია, აღნიშნული გამოწვეული იყოს ისტორიული გამოცდილებით, სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტით, საზოგადოების მიერ დემოკრატიული კონტროლის განხორციელების მიმართ ნაკლები ინტერესითა და სხვ. დემოკრატიული ქვეყნების რაოდენობის შემცირება და მისი შემობრუნება ავტორიტარიზმისკენ ბუნებრივი მოცემულობაა, რადგან მათი ნაწილი არასდროს ყოფილა დემოკრატიული.[3]

პოსტ-საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისთვის ჯერ კიდევ აქტუალურია ბრძოლა ავტორიტარიზმის დამკვიდრების წინააღმდეგ. როგორც წესი, ხელისუფლებები ცდილობენ, საზოგადოებაზე პოლიტიკური გავლენების გამყარებას კონტროლისა და შიშის დაწესებით. თუმცა, მსგავსი ტიპის რეჟიმებში, ძირითადად, ხალხი ცდილობს გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები და შეზღუდოს ხელისუფლების მცდელობა ძალაუფლების უზურპაციისკენ, რაც აფერხებს ავტორიტარიზმის დამკვიდრებას.

საქართველო გადის, როგორც ავტორიტარიზმის დამკვიდრების მცდელობის, ასევე ამ პროცესის შეკავების გზას. ერთი მხრივ, რეპრესიული საკანონმდებლო რეგულაციები მუდმივად საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლებას, და ამავდროულად, საზოგადოება და პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე აქტორები სხვადასხვა გზებით ცდილობენ მზარდი ავტორიტარიზმის შეკავებას. ცხადია, უმრავლესობის ძალაუფლება უნდა იყოს შეზღუდული, რადგან მორალის სამყაროში ჰუმანიზმი, სამართლიანობა და გონიერება დგას უმრავლესობაზე მაღლა, ხოლო პოლიტიკურ სამყაროში – ადამიანის განუყოფელი უფლებები.[4] სწორედ ადამიანის უფლებები დგას რეალური საფრთხის წინაშე, როდესაც ხელისუფლება ცდილობს თანამედროვე ავტორიტარიზმის ფორმების გამოყენებით მიიღოს რეპრესიული და ადამიანის უფლებების შემზღუდავი კანონმდებლობა.

ხელისუფლებები გადაწყვეტილებების მიღების დროს შეზღუდული არიან ადამიანის უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით, ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული

2 Scheppele, Kim L. (2018) "Autocratic Legalism," University of Chicago Law Review: Vol. 85: Iss. 2, Article 2. Pp, 546

3 *იქვე,* გვ.547

4 ანდრაშ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, აირის საქართველო", 2003, გვ. 10

არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[5] ამ პრინციპის მიხედვით, უმრავლესობა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. იქაც, სადაც ხალხი პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი წყაროა, ყველაფრის გაკეთება მასაც არ ძალუძს. ნებისმიერი არსებული დემოკრატია შეზღუდვებს უწესებს უმრავლესობის მმართველობას. ეს შეზღუდვები ხშირად უმცირესობის უფლებებში გამოიხატება. ეს ის უფლებებია, რომლებიც გარანტირებულია თუნდაც იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც საერთოდ ვერ ჰგუობენ უმრავლესობას. აქედან გამომდინარე, გამომუშავებულია იმ პროცედურების განმსაზღვრელი რეგულაციის სტანდარტული წესები, რომლის ფარგლებშიც მთავრობა მოქმედებს.[6] თუმცა, ცხადია, რომ ეს პრინციპი მოქმედებს დემოკრატიაში და არა მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, როდესაც ფორმალურად არსებობს დემოკრატიული წესრიგი და ხელისუფლების მიერ მუდმივად ხდება კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ და ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად.

მეთოდოლოგია

წინამდებარე სტატია სამაგიდო კვლევის მეთოდს ეფუძნება. კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის აღმოსაჩენად, მიმოხილულია აკადემიური სტატიები, პოლიტიკის დოკუმენტები, საკანონმდებლო რეგულაციები, პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და დასკვნები.

სტატიის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს კანონმდებლობის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების მეთოდები და მიზნები, რაც ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებას არა ტრადიცული რეპრესიული მეთოდებით, არამედ დემოკრატიის საფარქვეშ კანონმდებლობის შემოღებით ხდება, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

5 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.2.2.

6 ტომას მ. მაგშტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა – იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 68

კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში – პოლიტიკური კონტექსტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, კვლავ პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზად იქცა. არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა (მისმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მაინც) არ აღიარეს არჩევნების შედეგები და უარი თქვეს საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობაზე.[7] პოლიტიკურმა პარტიებმა საპარლამენტო ბოიკოტის გზა აირჩიეს და უარი თქვეს სახალხო ლეგიტიმაციაზე. მათი შეფასებით, არჩევნები გაყალბდა და სწორედ ეს იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი საპარლამენტო საქმიანობაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.[8]

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ საპარლამენტო საქმიანობის შესრულებაზე უარის თქმის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტმა არ მოიწვია ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა. საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის მიხედვით, პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი[9]. მიუხედავად ამისა, პარლამენტი მაინც შეიკრიბა და დაიწყო ფუნქციონირება.

საპარლამენტო არჩევნები შეაფასეს ადგილობრივმა და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმაც. შეფასებების მიხედვით, არსებობდა მნიშვნელოვანი დარღვევები არჩევნების კენჭისყრის დღის პროცედურებში, რომლებიც გავლენას ახდენდნენ არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებაზე.[10]

კენჭისყრის დღის პროცედურებში საქართველოს მასშტაბით ელექტრონული ტექნოლოგიებით ჩატარებულ საარჩევნო უბნებზე გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენდა ხმის ფარულობის პრინციპის დაცვა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევის დასადგენად, 2263 საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმება მოითხოვა.[11]

კანონმდებლობის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასთან ერთად, ბუნებრივია, ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმები ცდილობენ მართლმსაჯულების სისტემის მოქცევას პოლიტიკური გავლენების ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგში დადგა არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნა, სასამართლო ხელისუფლებაში მხოლოდ ერთი მოსამართლე აღმოჩნდა, რომელიც სასამართლოს პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას გარკვეულწილად შეეწინააღმდეგა. კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ, დაადასტურა ხმის

7 რადიო თავისუფლება, „კოალიცია ცვლილებისთვის“ საპარლამენტო მანდატებზე უარს ამბობს, 27 ოქტომბერი, 2024.

8 რადიო თავისუფლება, „ძლიერი საქართველო“ არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და მას „პოლიტიკურ ტრეფიკინგს“ უწოდებს, 27 ოქტომბერი, 2024

9 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 38

10 დემოკრატიის კვლევის ცენტრი, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გარემოს შეფასება – ფინალური ანგარიში, გვ. 4-7

11 რადიო თავისუფლება, მთელი სოფელი 10 წუთში გაიგებდა – ღია დავა საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევაზე, 1 ნოემბერი, 2024

ფარულობის დარღვევა და გააუქმა მის ტერიტორიულ იურისდიქციაში შემავალი რამდენიმე საარჩევნო უბნის შედეგები.[12] თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა და ძალაში დატოვა არჩევნების ის პირველადი შედეგები, რომლებიც გასაჩივრებულ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა.[13]

არჩევნების შედეგების მიუხედავად, საქართველოში კანონმდებლობის პოლიტიკური მიზნებით გამოყენება დაიწყო 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, როდესაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 2028 წლამდე, საქართველო აჩერებს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს.[14] სწორედ ამ განცხადებამ მისცა ბიძგი ფართომასშტაბიანი, პრო-დასავლური პროტესტის დაწყებას. პროტესმა ქვეყნის თითქმის მთელი ტერიტორია მოიცვა. აქტიურად იმართებოდა შეკრება-მანიფესტაციები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. დემონსტრანტები პროტესტის გამოხატვის განსხვავებულ და მრავალფეროვან ხერხებს მიმართავდნენ. საპროტესტო მუხტის შემცირების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მიმდინარე კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენდა გამოხატვის თავისუფლების ეფექტურად სარგებლობაზე.

ზოგადად, მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, კანონმდებლობის შინაარსის დემოკრატიის საწინააღმდეგოდ განსაზღვრასთან ერთად, აქტიურად გამოიყენება შეკრება-მანიფესტაციებისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ძალადობრივი ფორმები. ასეთ დროს, საპოლიციო დანაყოფები მოქმედებენ არა შეკრების დაშლის მოტივით, არამედ მონაწილე პირების დასჯის სურვილით.

წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერების პარალელურად, საქართველოს პარლამენტი მუდმივად ამკაცრებდა ადმინისტრაციულ სანქციებს. დამატებით, შემოღებულ იქნა ახალი კანონები, რომლებიც აქტიური მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლების უფლების წინააღმდეგ იყო მიღებული.

პოლიტიკური კონტექსტის უკეთ გასააზრებლად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია გავრცელდა პროტესტში აქტიურად მონაწილე პირებსა და ჯგუფებზე. ახალი რეპრესიული კანონების შემოღებით, ცვლილებები არ განხორციელებულა მხოლოდ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, ცვლილებები შეეხო „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონს, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს და სხვა, ოცდახუთზე მეტ საკანონმდებლო აქტს.

რეპრესიულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დემოკრატიის ხარისხზე საქართველოში. საკანონმდებლო ინიციატივებმა და პარლამენტის მიერ მისმა დამტკიცებამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამოუკიდებელი და ავტონომიური ფუნქციონირება, საფრთხე შეექმნა

12 რადიო თავისუფლება, თეთრიწყაროს სასამართლომ ხმის ფარულობის დარღვევა დაადასტურა, 4 ნოემბერი, 2024

13 https://formulanews.ge/News/119758 ბმული ნანახია: 28.11.2025

14 რადიო თავისუფლება, „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს, 28 ნოემბერი, 2024

მედიის მიერ ხელისუფლებაზე კონტროლის ეფექტურად განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 2023 წლის მარტში დაიწყო რეპრესიები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის (ე.წ. *„რუსული კანონი“)* შემოღებით.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მისი მოქცევა კანონმდებლობით განსაზღვრულ, ახალი რეგულირების ჩარჩოში, დემოკრატიულობის ფორმალური გაგების საფარქვეშ პოულობს ლეგიტიმაციას. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ხელისუფლება რეპრესიული პოლიტიკის განხორციელებისთვის იღებს, სწორედ დემოკრატიის სახელით და მის დასაცავად მართლდება. თუმცა, ცხადია, თანამედროვე ავტორიტარიზმის სახეცვლილება სწორედ ფორმალური დემოკრატიული წესრიგის გამოყენებით აღწევს პოლიტიკური მექანიზმების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისკენ. ძალაუფლების შენარჩუნება და ავტორიტარიზმის გაძლიერება მსგავსი მისწრაფებების მქონე ხელისუფლებების მთავარი მიზანია. მათ ამოცანას წარმოადგენს, შეინარჩუნონ კონტროლი იმ მექანიზმებზე, რომლებიც დააშინებს პოლიტიკურ ოპონენტებს ან მისცემს მათი დაპატიმრების ფორმალურ საკანონმდებლო შესაძლებლობას.[15]

საქართველოში კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია სწორედ ამ გზას გადის. ხელისუფლება ზრდის კონტროლის მექანიზმებს ოპოზიციურ ჯგუფებზე და მუდმივად ახორციელებს რეპრესიებს კანონმდებლობის გამოყენებით. რაც მთავარია, ნებისმიერი შემზღუდავი კანონის შემოღება მართლდება დემოკრატიის სახელით და ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რათა ამომრჩეველი დაარწმუნოს ხელისუფლების ამგვარ გადაწყვეტილებათა სისწორესა და უალტერნატივობაში.

კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში – სამართლებრივი ანალიზი

საკანონმდებლო ხელისუფლების ძალაუფლება გულისხმობს პარლამენტის უპირატესობის წარმოჩენას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით, მისი საზედამხედველო ფუნქციებისა და მექანიზმების გათვალისწინებით, რადგან სწორედ პარლამენტია ის ვისაც შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა.[16]

15 ტომას მ. მაგშტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა – იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 102

16 Felix Wiebrecht, „Corruption, Elite Contestation, and Parliaments: Why Do Legislatures Become Stronger in Authoritarian Regimes?“, Political Research Quarterly Volume 77, Issue 1, Mar 2024, Theoretical Framework.

ქართული პარლამენტარიზმის ისტორია პრაქტიკულად არ იცნობს სრულად გამართულ და ეფექტიან საპარლამენტო კონტროლს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციისა თუ მიმდინარე კანონმდებლობის დონეზე, არსებობს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობის განხორციელების მექანიზმები. საპრალამენტო არჩევნების შედეგად ფორმირებულმა ერთპარტიული უმრავლესობის არსებობამ კი, განუზომლად შეაფერხა პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების თუნდაც ნაკლოვანი და არასრულყოფილი კონტროლის შესაძლებლობა.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, ხშირ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივა იყო. როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენენ, მეტი შესაძლებლობა ჩნდება დემოკრატიის სახელით ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად და ნაკლები მექანიზმი – მის შესაზღუდად.

შესაბამისად, სტატიაში განხილული და გაანალიზებული საკანონმდებლო ცვლილებები, წარმოადგენს ერთპარტიული გადაწყვეტილების სულისკვეთებას – შეასუსტოს ან საზოგადოებრივი ველიდან ალაგმოს პოლიტიკური ოპონენტები, თავისუფალი მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და აქტიური მოქალაქეები; ჩაახშოს პროტესტის განცდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახადოს გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა. საკანონმდებლო ცვლილებათა მთელი სერია სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება.

როდესაც გამოხატვის თავისუფლების მზღუდავი კანონმდებლობა მიიღება, აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს სამ მთავარ კრიტერიუმს: *1. უფლებაში ჩარევა გათვალისწინებული იყოს კანონით. 2. ჩარევა მიზნად ისახავდეს: ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას; უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებას; ჯანმრთელობის ან ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვას; საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებასა და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. 3. ჩარევა აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.*[17] ამასთანავე, შეკრების თავისუფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. საქართველოს კონსტიტუცია იცავს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს, თუმცა ამავდროულად აწესებს უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ სტანდარტს. სახელმწიფოს შეუძლია შეკრების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.[18] ცხადია, შეზღუდვის ამ კონსტიტუციური პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეაფასოს კონკრეტული შეკრების და გამოხატვის ფორმის ან ფორმების კანონთან წინააღმდეგობის საკითხი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლების შეზღუდვის საფუძვლები. თუმცა, როდესაც საუბარია ავტორიტარიზმის დამკვიდრების მცდელობაზე, ბუნებრივია,

17 „გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი", ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005, გვ. 96-97

18 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.21.3.

სახელმწიფოს ქმედება უმეტესწილად არ იქნება დასახელებული კრიტერიუმების შესაბამისი და ყოველი შეზღუდვა დაექვემდებარება არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლებს, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობით მიღებულ გადაწვეტილებას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, ავტორიტარიზმისკენ სწრაფვა გააძლიეროს.

საქართველოს პარლამენტმა, გამოხატვის თავისუფლების, პროტესტის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას ახალი საკნონმდებლო ცვლილებებითა და ახალი სამართლებრივი რეგულირებებით უპასუხა. ქვემოთ, სწორედ ამ ძირითად ცვლილებებს მიმოვიხილავთ.

საქართველოს პარლამენტმა გაამკაცრა სანქცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევებისთვის. კერძოდ, *ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლის ვადით შეჩერებას.*[19] მოცემული ცვლილება განაპირობა დემონსტრანტთა მხრიდან ქუჩის გადაკეტვის, როგორც პროტესტის ფორმის ხშირმა გამოყენებამ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლში, რომელიც შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზების წესის დარღვევის შემთხვევებს არეგულირებს, ბოლო 11 თვის განმავლობაში 5 ცვლილება განხორციელდა. ადამიანის უფლებებთან მიმართებით, ყველაზე მძიმე ბოლო, 2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილებაა, რომლის მიხედვითაც, მათ შორის, სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის (თუ რაოდენობის გათვალისწინებით აქციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია) შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია, აქციის მონაწილეს 15 დღემდე (ორგანიზატორის შემთხვევაში – 20 დღემდე) ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდოს. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, აქციის მონაწილეს 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება, თუ აქციაზე აკრძალულ ნივთს იქონიებს.[20] მოცემულ აკრძალვას წინ უძღოდა, აქციის მონაწილეთა მხრიდან საქართველოს პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირის საავტომობილო გზის ნაწილის ყოველდღიური გადაკეტვა. ამავდროულად, აქციის მონაწილეები სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სახის დაფრვას, რათა თავი აერიდებინათ გზის ხელოვნურად გადაკეტვის გამო განსაზღვრული 5000 ლარიანი ჯარიმისთვის.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო საპროტესტო აქციის 150-მდე მონაწილის მიმართ. უმეტეს შემთხვევაში, წარმოების საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლის მე-10 ნაწილი, კერძოდ კი – გზის ხელოვნურად გადაკეტვა და საპროტესტო აქციაზე სახის დაფარვა. 100-ზე მეტ შემთხვევაში, გამოყენებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა,

19 ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსი, მუხ.125.6[1]

20 დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „16 ოქტომბრის რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკული აღსრულება, 12 ნოემბერი, 2025

აქედან დაახლოებით 50 შემთხვევაში – ქალი სამართალდამრღვევების მიმართ. ერთი პირის შემთხვევაში, დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.[21]

2025 წლის 16 ოქტომბერს, ძალაში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლში შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით განსაზღვრული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.[22] საქართველოს პარლამენტმა მოცემული ცვლილებით პრაქტიკულად მხარი დაუჭირა გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცული გარკვეული ფორმების გამოყენების კრიმინალიზებას.

მორიგი საკითხი შეეხება საპროტესტო აქციებისას პიროტექნიკის გამოყენებას. ვინაიდან, პროტესტის მონაწილეები აქტიურად იყენებდნენ პიროტექნიკას სპეციალური დანიშნულების რაზმის მხრიდან მომდინარე საფრთხეების შესაკავებლად, აღნიშნულის საპასუხოდ, აღმსარულებელმა ხელისუფლებამ დახურა პიროტექნიკის სავაჭრო პუნქტები, ხოლო პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებას დაუქვემდებარა პიროტექნიკის იმპორტი, ექსპორტი, წარმოება ან/და რეალიზაცია. ხელისუფლებამ საფრთხედ შეაფასა შეკრება-მანიფესტაციების მონაწილეთა მხრიდან თავდაცვის და წინააღდეგობის გაწევის მოცემული ფორმის გამოყენება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 77[1] 156[2] და 156[3] მუხლებში გაამკაცრა პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესები.

პროტესტის მონაწილეები გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სხვადასხვა ფორმას იყენებდნენ საკუთარი წუხილების გადმოსაცემად. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენდა ტროტუარებზე, ავტომობილების სავალ გზაზე თუ შენობა-ნაგებობზე ე.წ. „სტენსილების“ დატოვება, რომლებიც სხვადასხვა შინაარსის, თუმცა საერთო მიზნის მქონე იყო. როდესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მსგავსი წარწერები უხვად გაჩნდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, პროტესტის გამოხატვის ამ ფორმის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფორმების გამკაცრება. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[23] ამავდროულად, თუ ხელისუფლება მიიჩნევს რომ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ჯარიმა არასაკმარისად მკაცრი ღონისძიებაა, მაშინ, შესაძლოა, სამართალდამრღვევი დააპატიმრონ

21 *იქვე.*

22 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 347.1. და 347.2.

23 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ.150.5.

15 დღემდე ვადით.[24] სხვა საკანონმდებლო ცვლილებების მსგავსად, მოცემული ცვლილებაც ხელისუფლების მიერ რეპრესიული პოლიტიკის გამოვლინებაა, რისი საშუალებითაც, იგი ცდილობს გამოხატვის ფორმების შეზღუდვას. გამოხატვის თვაისუფლების ყოველი ახალი ფორმის გამოყენების შემდეგ, სახელმწიფო მკაცრი სამართლებრივი რეგულირებით ცდილობს მის ჩარჩოში მოქცევას, ან სრულად კრძალავს მსგავს ქმედებას.

2025 წლის თებერვალში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 173[16]-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეების შეურაცხყოფისთვის. მუხლი ითვალისწინებს მაღალ სანქციებს: ჯარიმას 1500-იდან 4000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით, ხოლო ამ მუხლის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დაჯარიმებას 2500-იდან 6000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5-იდან 60 დღემდე (ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა) ვადით. ამასთანავე, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.[25]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ისეთი გამოხატვაც, რომელიც შოკისმომგვრელი, შეურაცხმყოფელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსა ან საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისთვის. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლებაა. ერთ-ერთი მიზანი, რომლის გამოც იგი შეიძლება შეიზღუდოს, არის სხვათა უფლებების, მათ შორის, სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი) დაცვა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, იმისთვის, რომ რელევანტური იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, პირის რეპუტაციაზე შეტევა უნდა აღწევდეს გარკვეულ მნიშვნელოვან დონეს.[26]

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს თანახმად, გაუმართლებელი დამცირების (wanton denigration) შემთხვევაში, როდესაც გამოხატვის ერთადერთი მიზანი შეურაცხყოფის მიყენებაა, პროპორციული სანქციის დაკისრება, შესაძლოა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ იწვევდეს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, აღნიშნული გაიმიჯნოს ისეთი შეურაცხმყოფელი და პროვოკაციული გამოვლინებისგან, რომელიც გამოხატვის თავისუფლების ქვეშ ექცევა. ამისთვის ყურადღებით უნდა შეფასდეს კონტექსტი, რომელშიც განცხადება გაკეთდა.[27]

ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები არამხოლოდ გამოხატვის თავისუფლებას, არამედ ფიზიკური თავისუფლების უფლებასაც შეეხება. კერძოდ, საქართველოს

24 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ.150.4.

25 „კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი 2025 წლის თებერვალი – ივლისი", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2025, გვ. 21

26 *იქვე,* გვ. 21

27 *იქვე,* გვ. 22

პარლამენტის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი საკანონმდებლო ცვლილებით, ადმინისტრაციულ სამართალადრღვევათა კოდექსის საფუძველზე უკვე სახდელდადებულ პირს, პასუხისმგებლობის ფორმად ავტომატურად პატიმრობა განესაზღვრება. აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ მუხლებს: 166-ე მუხლი (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე მუხლი (პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა), 173[16]-ე (თანამდებობის პირის შეურაცხყოფა), 174[1]-ე (შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევა). ცვლილებების განხორციელებამდე, ყველა ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს შეეძლო, სახდელად შეერჩია ჯარიმა ან პატიმრობა. ჯარიმის შეფარდების შესაძლებლობის გაუქმებასთან ერთად, ასევე არსებითად გაიზრდა პატიმრობის ქვედა ზღვარი. მაგალითად, თუ მოქმედი კანონმდებლობით წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენა 3 000 ლარიდან 5 000 ლარამდე ჯარიმით ან 5 დღიდან 60 დღემდე პატიმრობით ისჯება, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს, სულ მცირე, 30 დღიანი პატიმრობა ემუქრება.[28] შეცვლილი სამართლებრივი რეგულირების მიხედვით კი, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ის ფორმა, რომელიც მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი და, ამავდროულად, უფლების შეზღუდვის უფრო პროპორციული საშუალებაა.

ჯარიმის გადაუხდელობისა თუ ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში პირისთვის ავტომატურად პატიმრობის შეფარდება ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. ნიშანდობლივია, რომ 2025 წლის 1 დეკემბერს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ვლადიმერ ხუჭუამ, მის წარმოებაში არსებული რამდენიმე ადმინისტრაციული დავა შეაჩერა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო წარდგინებით მიმართა . მოსამართლის შეფასებით, საკანონმდებლო რეგულაციები, რომელსაც იგი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაეყრდნოს, საფრთხეს უქმნის საქართველოს კონსტიტუციით დაცულ რამდენიმე უფლებას, კერძოდ: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა (მე-9 მუხლი), თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-11 მუხლი) და ადამიანის ფიზიკური თავისუფლების უფლება (მე-13 მუხლი).[29]

მოცემულ ცვლილებათა პოლიტიკურ მიზნებსა და კანონმდებლობის ინსტრუმენტალიზაციის მტკიცებულებას წარმოადგენს, განხორციელებული ცვლილებების პროცედურული ასპექტიც. კერძოდ, ერთპარტიული უმრავლესობის მქონე საკანონმდებლო ორგანომ, დაჩქარებული წესითა და წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციების გარეშე, მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. პარტიულ დღის წესრიგს დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების პირობებში, რომლებიც შეკავებისა და გაწონასწორების

28 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი რეპრესიული ცვლილებებით, "ქართული ოცნება" მოქალაქეთა დასჯისა და ტერორისთვის კიდევ უფრო გამარტივებულ პირობებს ქმნის", 2 ივლისი, 2025

29 რადიო თავისუფლება, „თეთრიწყაროს მოსამართლემ 4 საქმის წარმოება შეაჩერა და საკონსტიტუციოს მიმართა – დავას შესაძლოა დემონსტრანტებზე ჰქონდეს ზეგავლენა", 1 დეკემბერი, 2025

ფუნქციას ვერ ასრულებენ, რეპრესიული კანონები კიდევ უფრო მძიმე შედეგებით ემუქრება წინააღმდეგობაში ჩართულ მოქალაქეებს.[30]

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება დაცულია[31]. თავისუფლების უფლების შეზღუდვით ადამიანი მოკლებული რჩება სხვა უფლებების განხორციელების შესაძლებლობასაც. ეს გარემოება ავალდებულებს კანონმდებელს, თავისუფლების უფლების შეზღუდვისას დაიცვას კონსტიტუციით დადგენილი ჩარევის მკაცრი სამართლებრივი სტანდარტები.[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შესაძლებელია შეიზღუდოს. სასამართლო მიუთითებს, რომ თავისუფლების უფლების შეზღუდვის ბევრი ფორმა არსებობს, მათ შორის: დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავება ნაკლებად მძიმე ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში ვიდრე, თუნდაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება, სასამართლო ხაზგასმით მიუთებს, რომ ამ შემთხვევაშიც, აუცილებლად უნდა არსებობდეს ის მყარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბარიერი, რომლის გადალახვაც აკრძალული იქნება ძირითად უფლებაში ჩარევისას.[33]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თავისუფლების უფლების შეზღუდვის სტანდარტები ზრდის სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს უფლების თვითნებური ჩარევისგან. საქართველოს პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით, დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.[34] ადამიანის პრევენციის მიზნით დაკავება რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, რთული შესაფასებელია, თუმცა მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, კანონის მიღების პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, დასახელებული სამართლებრივი რეგულირების მიზანია, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების მიმართ მეტი სადამსჯელო ზომის გამოყენება. აღნიშნული ცვლილება არის მორიგი დადასტურება იმისა, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიული მიზნების მიღწევის საფარქვეშ, რეპრესიული კანონი მიიღო, რაც, თავის მხრივ, ინდივიდის ფიზიკური თავისუფლების უფლებით სარგებლობაზე ნეგატიური გავლენას მქონეა.

30 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი რეპრესიული ცვლილებებით, "ქართული ოცნება" მოქალაქეთა დასჯისა და ტერორისთვის კიდევ უფრო გამარტივებულ პირობებს ქმნის", 2 ივლისი, 2025

31 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.13.1.

32 თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2013, გვ. 106

33 *იქვე,* გვ. 109-110

34 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ.244.1.

ადამიანის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და ფიზიკური თავისუფლების უფლების შეზღუდვის კვალდაკვალ, მზარდი ავტორიტარიზმისთვის, ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და კრიტიკული მედიაა, ესე იგი, ის ჯგუფები, რომლებიც არსებული მექანიზმების ფარგლებში, ცდილობენ, შეაკავონ ავტორიტარიზმის კონსოლიდაცია და შეინარჩუნონ დემოკრატიული წესრიგის გარკვეული ელემენტები მაინც.

მოქმედი თუ პოტენციური ოპონენტების გასანეიტრალებლად, ავტორიტარი მმართველები ხშირად მიმართავენ პრესის ცენზურას, უკანონოდ აცხადებენ ოპოზიციურ პარტიებს და სასამართლო სისტემაზე მკაცრ კონტროლს აწესებენ, რასაც შემდეგ, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნის იარაღად იყენებენ. მონოპოლია მასობრივ მედიასა და სასამართლო ხელისუფლებაზე ავტორიტარ მმართველებს საშუალებას აძლევს, გაიხანგრძლივონ ძალაუფლება, ისევე როგორც, შენიღბონ და სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციონ ძალაუფლების გადაჭარბების შემთხვევები. როგორც წესი, ამგვარი რეპრესიული პოლიტიკა და მის განმახორციელებელ ინსტიტუტთა ქმედებები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობის შესარჩუნების მოტივით მართლდება.[35]

საკანონმდებლო ცვლილებების ნაწილიც სწორედ ამ საკითხებს ეხება. უფრო კონკრეტულად, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანულ კანონებში. ცვლილებების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს შესაბამის დასკვნას პოლიტიკური პარტიის აკრძალვის თაობაზე, აკრძალული პარტიის წევრებსა თუ პარტიასთან დაკავშირებულ ფიზიკურ პირებს დაუწესოს შემდეგი შეზღუდვები: სამომავლოდ ამ პირის მიერ პარტიის შექმნის აკრძალვა, პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, პარტიული საარჩევნო სიიდან ამორიცხვა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავების აკრძალვა.[36]

გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლება, დაჩქარებული წესით, ორი კვირის ვადაში, აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, პერსონალური შემადგენლობა ან/და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა) არსებითად იმეორებს მის მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას).[37]

პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესაძლებლობას ხელისუფლება ეფექტური საკონსტიტუციო კონტროლის არგუმენტით ხსნის. თუმცა, მოცემული ცვლილებების როგორც შინაარსი, ასევე ინიცირების დრო და კონტექსტი, უფრო მეტად პოლიტიკური ოპონენტების უკიდურესად შეზღუდვის ანდაც მათი პოლიტიკური ველიდან სრულად ალაგმვის მიზნით ნაკარნახევ გადაწყვეტილებად მოსჩანს. ამგვარი შეფასების საფუძველს დამატებით ის

35 ტომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა – იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 102

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 23.3. „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები

37 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, მუხ.36

გარემოებაც იძლევა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც, თავდაპირველი მანდატით, 2003-2012 წლებში ხელისუფლებაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირთა საქმიანობა უნდა შეესწავლა. მოგვიანებით, კომისიის მანდატი გაფართოვდა და 2012 წლის შემდგომი პერიოდიც მოიცვა. სწორედ აღნიშნული კომისიის დასკვნა დაედო საფუძვლად საქართველოს პარლამენტის 88 წევრის კონსტიტუციურ სარჩელს[38]. მოცემული სარჩელით მოთხოვნილია რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის სრულად აკრძალვა.

დასახელებული კომისიის შექმნა, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და კონსტიტუციური სარჩელის მომზადება, ერთობლიობაში ცხადყოფს მორიგ მცდელობას დემოკრატიის სახელით ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად და კანონმდებლობის გამოყენებას პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციისთვის.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ ცვლილებების მიღებამდე, პარლამენტმა ცვლილებები განახორციელა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ კანონებშიც. ახალი საკანონმდებლო რეგულირებები მიმართული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და იმ მედია საშუალებების წინააღმდეგ, ვინც უცხოურ დაფინანსებას იღებდა. ცვლილებების მიხედვით, გრანტის გამცემი დონორი ორგანიზაციები ვალდებული არიან, საქართველოს მთავრობას მიმართონ ნებართვის მისაღებად, ხოლო ნებართვის გარეშე გრანტის გაცემის შემთხვევაში, მისი მიმღები სუბიექტი დაჯარიმდება მიღებული გრანტის ორმაგი ოდენობით.[39] მოცემული ცვლილების ამოქმედების შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა უცხოური დონორისგან გრანტის გაცემა და მიღება, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ, საკუთარ დასკვნაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი შეფასება გააკეთა. კერძოდ, კომისიის თანახმად, შესაბამისი ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად დასახელება სერიოზულ შედეგებს იწვევს, ვინაიდან იგი ძირს უთხრის როგორც სამიზნე ორგანიზაციების/ინდივიდების ფინანსურ სტაბილურობასა და სანდოობას, ასევე მათ საქმიანობას. რეგისტრაციისა და ანგარიშგების დამამძიმებელი მოთხოვნების კუმულაციური გავლენა (მათ შორის, ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება), რომელიც ზღუდავს სტიგმატიზებული გაერთიანებების წვდომას დაფინანსების სხვადასხვა წყაროზე, ასევე პოტენციურად დასაკისრებელი მძიმე ადმინისტრაციული ჯარიმები და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა, უდავოდ გაართულებს და საფრთხეს შეუქმნის შესაბამისი ორგანიზაციების არსებობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას. სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებული მუდმივი და მასტიგმატიზირებელი დაბრკოლებები მსუსხავ ეფექტის მქონეა.[40]

38 იხ. საქართველოს პარლამენტის წევრების (სულ 88 წევრის) კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების („ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“, „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“) საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე.

39 საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, მუხ.5[1] და 6[4]

40 ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის თაობაზე“, სასწრაფო დასკვნა, სტრასბურგი, 2024 წლის 21 მაისი, გვ. 31-32

ვენეციის კომისიის შეფასება უფრო განამტკიცებს მოსაზრებას, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოქცევა ემსახურება ავტორიტარიზმის გამყარებას და არა დემოკრატიული წესრიგის დაცვას. საგულისხმოა ვენეციის კომისიის მიერ წარმოდგენილი კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც წინამდებარე მსჯელობის დასაბუთების რელევანტურ საფუძველს ქმნის. უფრო კონკრეტულად, კომისია მიუთითებს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სახელით, ფაქტობრივად, სტიგმატიზაციის, გაჩუმებისა და, საბოლოო ჯამში, ლიკვიდაციის რისკის ქვეშ აყენებს იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს, რომლებიც თავიანთი სახსრების თუნდაც მცირე ნაწილს უცხოეთიდან იღებენ. იქმნება სერიოზული რისკი იმისა, რომ კანონი იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს შეეხება, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებენ, შესაბამისად, მათი საზოგადოებრივი ველიდან გაქრობა, უარყოფითად იმოქმედებს ღია და ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.[41]

ცალკე აღნიშვნის ღირსია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიმდინარე საქმეების მედიაგაშუქებას ეხება. დაკავებული ან/და დაჯარიმებული აქტივისტების წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებს აქტიურად აშუქებდნენ მედია საშუალებები, განსაკუთრებით კი – ონლაინ მედია. შედეგად, საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებინა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პოლიტიკური მიზნებით გამოყენების საფრთხეები. 2025 წლის 16 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა ერთპარტიული გადაწყვეტილებით მიიღო ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში. ახალი რეგულირებით, სრულად აიკრძალა სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზსა და ეზოში ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა. ამის უფლება მხოლოდ სასამართლოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს აქვს.[42] აღსანიშნავია, რომ ცვლილებამდე საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილი იყო, შეუზღუდავად განეხორციელებინა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სასამართლოს განჩინებით, სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დახურული იყო. საზოგადოებრივ მაუწყებელს ასევე ჰქონდა ვალდებულება, ჩანაწერი სხვა მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნისთანავე გადაეცა.[43]

საჯაროობა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიზღუდოს. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოში ფოტო, ვიდეო გადაღების ან აუდიოჩაწერის უფლება შეუზღუდავია, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს არა ბლანკეტურად, არამედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლებით დაცული ინტერესების შეფასებისა და დაბალანსების საფუძველზე განხორციელდეს.[44] საერთო

41 *იქვე,* გვ. 32

42 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხ.13[1]

43 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხ.13[1].2.

44 „კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი 2025 წლის თებერვალი – ივლისი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები არა სხვადასხვა უფლებით დაცული ინტერესების დაბალანსებას, არამედ მედიის საქმიანობის არაპროპორციულ შეზღუდვას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების ხელშეშლას ისახავს მიზნად.[45]

ადამიანის უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო ველის ცვლილება მხოლოდ განხილული საკანონმდებლო ცვლილებებით არ შემოიფარგლება და იგი კვლავ გრძელდება. კერძოდ, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ცვლილებები საარჩევო კოდექსში, რომლის თანახმადაც, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ერთმევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ აქტიური საარჩევნო უფლებით ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. ნებისმიერი ასეთი პირი ვალდებულია, არჩევნების დღეს, ფიზიკურად გამოცხადდეს საარჩევნო უბანში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს ემიგრანტების აქტიურ საარჩევნო უფლებაშო საკმაოდ ჩარევას. ცხადია, მოცემული ცვლილებაც, სხვა ცვლილებათა მსგავსად, დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებებით ნაკარნახევად წარმოჩნდება, კონკრეტულად კი – ემიგრანტების საქართველოსთან კავშირის შესანარჩუნებლად. თუმცა, მისი პრაქტიკული ეფექტი ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის საარჩევნო პროცესისგან ჩამოშორება იქნება, რაც ცხადად დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოა.

დასკვნა

ბოლო პერიოდში, საქართველოში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესები ნათლად გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ფორმალურად მიღებულია დემოკრატიული წესრიგის ფარგლებში, ხელისუფლებისთვის პოლიტიკური კონტროლისა და ოპოზიციური ხმების დათრგუნვის ეფექტურ მექანიზმად იქცა. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები საკუთარი შინაარსით, ინიცირების პროცედურით, მიღების კონტექსტითა და გარემოებებით, ისევე როგორც აღსრულების ტემპით, ქმნის მკაფიო სურათს: ხელისუფლება საკუთარ ძალაუფლებას იყენებს არა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად, არამედ პოლიტიკურ იარაღად ავტორიტარიზმის კონსოლიდაციისთვის.

სტატიაში გაანალიზებული თითოეული საკანონმდებლო ცვლილება ცხადყოფს ხელისუფლების ერთიან, თანმიმდევრულ და მეთოდურ ძალისხმევას, გაამკაცროს სანქციები, შეავიწროვოს სამოქალაქო საზოგადოება და კრიტიკული მედია, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, აღჭურვოს სამართალდამცავი სისტემა ფართო დისკრეციით, ხოლო

ასოციაცია, თბილისი, 2025, გვ. 17

45 *იქვე.* გვ. 17

სასამართლო ფორმალურ ინსტიტუტად აქციოს, რომელიც ვერ ასრულებს შეკავებისა და გაწონასწორების კონსტიტუციურ ფუნქციას. აღნიშნული პროცესები თანმდევია იმ პოლიტიკურ კონტექსტისა, როდესაც დემოკრატიული ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, პოლიტიკური პლურალიზმი მცირდება, ხოლო მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება უფრო საშიში და ხანდახან – სისხლისსამართლებრივად დასჯადიც კი.

ლიბერალური დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კონსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა: ხელისუფლების დანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური კონკურენცია და მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა, ერთიანად სუსტდება. ამ ფონზე, კანონმდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია მხოლოდ სამართლებრივი პრობლემებს არ წარმოშობს. იგი სისტემურ პირობას ქმნის ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად. განსაკუთრებით იზრდება რისკი, რომ დღევანდელი საკანონმდებლო პოლიტიკის შედეგად, ჩამოყალიბდება თვითკმარი, თვითგამყარებადი რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც, პოლიტიკური დაპირისპირება აღარ იქნება დებატების, კონკურენციისა და არჩევანის შედეგი, არამედ სახელისუფლებო კონტროლის მექანიზმებით დარეგულირებული პროცესი.

მიუხედავად ამისა, სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ საქართველოში ავტორიტარიზმის კონსოლიდაცია შეუფერხებლად არ მიმდინარეობს. საზოგადოების ფართო ჯგუფები, მათ შორის, სამოქალაქო ორგანიზაციები, ჟურნალისტები, აქტივისტები, რიგითი მოქალაქეები, მრავალფეროვანი და მზარდი ფორმებით ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას. სწორედ ამ წინააღმდეგობას მოჰყვება ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული მექანიზმების გამკაცრება, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ხელისუფლების მხრიდან კანონმდებლობის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას.

სტატიაში მოცემული ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავტორიტარიზმის დამკვიდრება არასოდესაა ერთგანზომილებიანი და შეუქცევადი პროცესი. მისი წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააგრძელებს საზოგადოება დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და რამდენად მოახერხებს, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული სამართლებრივი ზეწოლის პირობებშიც კი, შეინარჩუნოს ბრძოლა თავისუფლებისთვის. შესაბამისად, საქართველოში დემოკრატიული წესრიგისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბედი განისაზღვრება არა მხოლოდ მიღებული კანონებისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების რაოდენობით, არამედ იმით, თუ ვინ განსაზღვრავს მის არსს: მოქალაქეები, რომლებიც მისგან თავისუფლების დაცვას ელიან, თუ ხელისუფლება, რომელიც მას ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებს. ამ მხრივ, პროცესი კვლავ ბუნდოვანი და გადაუწყვეტელია. მის შედეგს კი ძალუძს, ქვეყნის დემოკრატიული მომავალი განსაზღვროს.